იერუსალიმში რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სულიერი მისიის მეთაურმა დაგმო კიევ-პეჩერის წმინდანთა ნეშტების „ექსპერტიზა“

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 04.04.2025. რუსეთის საზღვარგარეთის სულიერი მისიის ხელმძღვანელმა, არქიმანდრიტმა რომანმა (კრასოვსკი), მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის ინგლისურენოვან ვებ-გვერდისთვის გაკეთებულ კომენტარში დაგმო უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურების ქმედებები კიევ-პეჩერის ღირსი მამების წმინდა ნეშტების „ექსპერტიზის ჩატარებასთან“ დაკავშირებით.

„ისინი ცდილობენ მეცნიერული სახე მისცენ მართლმადიდებლური სიწმინდეების და მართლმადიდებელი ხალხის შეურაცხყოფას. თქვენ იქ გაქვთ მირონმდინარე თავის ქალები, როგორ შეგიძლიათ ეს [მეცნიერულად] ახსნათ? ეს შეუძლებელია. ეს არის დეკორაცია, რაღაც ნივთიერი დასავლელი აუდიტორიისთვის, რათა გაამართლოს უკრაინის მართლმადიდებуლი ეკლესიის დევნა", – განაცხადა მამა რომანმა.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია კიევ-პეჩერის ღვთისმშობლის მიძინების ლავრაში დავანებული „წმინდა ნეშტების შესამოწმებლად“ სპეციალური კომისიის შექმნის თაობაზე. კომისია იმუშავებს 30 მაისამდე; მისმა წევრებმა უნდა „შეაფასონ კიევ-პეჩერელი ღირსი მამების ისტორიული და მეცნიერული ღირებულება“, ასევე უნდა შეადგინონ იმ საგნების სია, რომლებიც ექცევა კულტურული ფასეულობის განსაზღვრებაში. კომისიის მუშაობის შედეგები გასაიდუმლოებული იქნება და მიიღებს „შეზღუდული წვდომის ინფორმაციის“ სტატუსს.

გაავლო რა ისტორიული პარალელები, არქიმანდრიტმა რომანმა (კრასოვსკი) უკრაინის კულტურის სამინისტროს ქმედებები შეადარა საბჭოთა რეჟიმის „კვლევით პროგრამებს“, რომლის დროსაც წმინდა ნეშტებსა და სიწმინდეებს ეკლესიას ართმევდნენ, მათ დისკრედიტაციას ახდენდნენ და ანადგურებდნენ კიდეც „სამეცნიერო კვლევის“ საფარქვეშ: „ეს არის იმის გაგრძელება, რასაც აკეთებდნენ ოციან წლებში საბჭოთა კავშირში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში კომუნისტური რეჟიმის დროს, და ეს საშინელებაა“.

როგორც მამა რომანმა ხაზგასმით აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის მდევნელთა დრო და ტიტულები შეიძლება შეიცვალოს, საბოლოო ჯამში ის, ვინც მათ უკან დგას, იგივე რჩება: „ეს ეშმაკია, რომელსაც მთელი თავისი ლაშქარი ეკლესიის წინააღმდეგ გამოჰყავს, როგორც ამას მეოცე საუკუნეში აკეთებდა, და ჩვენ, როგორც მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა, როგორც ჩანს, ცოტა რამ ვისწავლეთ ჩვენი წარსულიდან და უბრალოდ ვაგრძელებთ ამასოფლის გზით სვლას, – ვივიწყებთ რა იმ ერთადერთს, რაც აუცილებელია“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93051/